

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება- 092/10

1. ფაქტები

ჟ.ლ. წარმოადგენდა ნ.გ.ის ინტერესებს გ.მ.-ს, ი. მ.ს და დ. ს.ს წინააღმდეგ სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე. სასამართლომ დააკმაყოფილა ნ.გ.ის სარჩელი სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე, აღსასრულებლად მიეცა გ.მ.ის საცხოვრებელი სახლი და საკუთრებაში გადაეცა ნ.გ.ს. ამის შემდეგ, ადვოკატი ჟ.ლ. წარმოადგენდა გ.მ.ის ინტერესებს ნ.გ.ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა იმავე საცხოვრებელ ბინაში განხორციელებული მიშენების ხარჯების ანაზღაურება, სულ 10 000 აშშ. დოლარის ექვივალენტი ლარში. ადვოკატი ჟ.ლ. წარმოადგენდა თ. მ.ს ინტერესებს ნ.გ.ის წინააღმდეგ წარმოებულ დავაში. სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელ ბინაში განხორციელებული რემონტის ხარჯების ანაზღაურება.

2. პროცესუალური ისტორია

ადვოკატთა ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა ნ.გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ჟ.ლ.ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. დისციპლინურმა კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა ადვოკატ ჟ.ლ.ის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის და ინტერესთა კონფლიქტისგან თავის არიდების ვალდებულების დარღვევის თაობაზე („ადვოკატთა შესახებ“ კანონის მე-3, მე-5, მე-6, მე-7 და მე-8 მუხლები).

3. სამართლებრივი ანალიზი

ჩაითვება თუ არა ჟ.ლ.ის მიერ მისი ყოფილი კლიენტის, ნ.გ.ის მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლობა ნ.გ.ის წინააღმდეგ, ინტერესთა კონფლიქტის დარღვევად „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „ადვოკატს უფლება არა აქვს შეასრულოს პროფესიული ფუნქციები, თუ იმავე საქმეზე უკვე განხორციელა საადვოკატო საქმიანობა მეორე მხარის სასარგებლოდ.“ ეთიკის კომისია მიიჩნევს, რომ ადვოკატი, რომელიც ახორციელებდა კლიენტის წარმომადგენლობას არ უნდა წარმოადგინოს სხვა პირი იმავე ან არსებითად დაკავშირებულ საქმეში, სადაც ამ უკანასკნელის ინტერესები არსებითად საწინააღმდეგოა ყოფილი კლიენტის ინტერესებისა, გარდა შემთხვევისა, როდესაც კონსულტაციის შედეგად ყოფილი კლიენტი განაცხადებს თანხმობას. ადვოკატი ჟ.ლ. თავდაპირველად წარმოადგენდა ნ.გ.ის ადვოკატს, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრების თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოებაში. ნ.გ.სთან სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგ ჟ.ლ. გახლდათ თ. მ.ს ადვოკატი, ყოფილი კლიენტის ნ.გ.ის წინააღმდეგ. ადვოკატის მიერ განხორციელებული მომდევნო წარმომადგენლობა მოიცავდა ყოფილი კლიენტისთვის-ნ.გ.ისათვის არახელსაყრელ პოზიციას. ადვოკატმა დაარღვია ვალდებულება თავი აერიდებინა ინტერესთა კონფლიქტისთვის ყოფილ კლიენტსა და ამჟამად არსებულ კლიენტს შორის. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ჟ.ლ. თ. მ.ს წარმომადგენლობას ახორციელებდა არსებითად და სამართლებრივად დაკავშირებულ დავაში ნ.გ.ის წინააღმდეგ. საადვოკატო საქმიანობის ფარგლებში, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელების შემდგომ, ადვოკატს გააჩნია მთელი რიგი ვალდებულებები ყოფილი კლიენტის მიმართ, რომელთა დარღვევა გამოიწვევს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. კერძოდ, ადვოკატს გააჩნია კონფიდენციალურობის დაცვისა და ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულება. ეთიკის კომისიის განმარტებით, გ.მ.ის ინტერესების დაცვისას ნ.გ.ის წინააღმდეგ ადვოკატ ჟ.ლ.ის მხრიდან ადგილი ქონდა ინტერესთა კონფლიქტს. თუმცა სასამართლომ



საოქმო განჩინებით დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა მხრებს შორის ინტერესთა კონფლიქტის შემთხვევას.

ეთიკის კომისიამ ჩათვალა, რომ ადვოკატ ჟ.ლ.ის მიერ ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტის დაუშვებლობის ვალდებულების დაღვევას თ. მ.ს წარმომადგენლობისას ყოფილი კლიენტის ნ.გ.ის მიმართ, რადგან წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტი, კერძოდ კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების რეალური საფრთხე.

დისციპლინური სახდელის ფორმად განისაზღვრა გაფრთხილება.